7474 ა.ვ.
7/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის
სახელმწიფო კომიტეტი

საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-
ეკონომიკურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

# ტექნიკური ინფორმაცია

| 1976 | სოფლის მეურნეობა | №22 |
| --- | --- | --- |

F 99.589
3

631.53.031:[631.544.41:621.365

1080(4)

## ადრეული ბოსტნეული კულტურების ჩითილების მოყვანა ელექტროშეთბობით აფსკით გადახურულ სათბურებში

ადრეული ბოსტნეული კულტურების ჩითილების მოყვანა ელექტროშეთბობით თაღოვან აფსკით გადახურულ სათბურებში დაინერგა კრასნოდარის მხარის ბელორეჩენსკის ხილბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობაში 1972 წელს. თითოეული სათბურის ინვენტარული ფართობია 640 მ², სასარგებლო ფართობი კი – 450 მ².

ელექტროსახურებელი ელემენტებით გრუნტის შეთბობა შესაძლებლობას გვაძლევს ფესვთანმყოფელი შრის ნიადაგის ტემპერატურა დავიცვათ 16-18° ფარგლებში. თებერვალ-მარტში, როცა გარე ტემპერატურა დაბალია, სათბურებში ჰაერი თბება კალორიფერებით. სათბურში ჰაერის ტემპერატურა მაქსიმალურ სიდიდეს – 27-34° აღწევს 12-14 საათზე. აქტიური ვენტილაციის გამოყენებით ჰაერის ტემპერატურა დაიწევს 22-25°-მდე.

აფსკით გადახურულ სათბურებში საბჭოთა მეურნეობაში გამოჰყავთ ადრეული პომიდვრისა და კომბოსტოს ჩითილები.

პომიდვრის თესლს თესავენ მარტის პირველ დეკადაში, ნათესარებს გადანერგავენ კვლებში ორი ნამდვილი ფოთლის ფაზაში, რომელთა მკვები გრუნტი შედგება თანაბარი რაოდენობის მიწისა და ნეშომპალოსაგან. პომიდვრის ჩითილი გამოჰყავთ სამი წესით: ჩვეულებრივი

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 1

აფსკით გადახურულ სათბურებში პომიდვრის ჩითილების მოყვანის სხვადასხვა წესის ეფექტურობა

| მოყვანის წესი | მოსცნ. პროდუქ. ღირებ. მან. | % კონტ-როლის მიმართ | მიღებ. დამატ. მოსც. პროდ., მან. | დამატ. სახსრ. მან. | მათ შორის | | დამატებით დახარჯული ერთი მანე-თის ანაზ-ღაურება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ჩითი-ლებზე | დამატ. მოსავ-ლის აღებაზე | |
| უქოთნო ჩითილი (კონტრ.) | 2926,5 | 100,0 | - | - | - | - | - |
| გრუნტის იზოლაც. | 4174,5 | 142,6 | 248 | 249,8 | 4,8 | 245 | 4,99 |
| ქოთნის ჩითილი | 3781,5 | 129,2 | 855 | 410,5 | 234,6 | 175,9 | 2,16 |

გადანერგვა 8X8 სმ მკვები ფართობით; ნათესარების გადანერგვა პოლიეთილენის ქოთნებში; ნათესარების გადანერგვა კვლებში ხმარებაში ნამყოფი პოლიეთილენის აფსკით გრუნტის იზოლაციით.

აფსკს აფენენ ქვიშის შრეზე (რომელიც ახდენს ელექტროსახურებელი ელემენტების იზოლაციას) და უკეთებენ 2–3 ჩანაჭერს ერთ კვადრატულ მეტრზე. აფსკზე ყრიან მიწისა და ნეშომპალას მკვებ ნარევს 7-8 სმ სისქეზე,რომელშიც გადარგავენ პომიდვრის ნათესარებს.

მოყვანის პერიოდში ახდენენ პომიდვრის ჩითილებს დამატებით კვებას მინერალური სასუქის შემდეგი კონცენტრაციით: 50 გ ამონიუმის გვარჯილა,50 გ სუპერფოსფატი და 15 გ ქლოროვანი კალიუმი 10 ლ წყალზე. გადანერგვიდან 25 დღის შემდეგ პომიდვრის ჩითილი მზად არის ჩასარგავად. მისი ხარისხი დიდად არის დამოკიდებული მოყვანის წესზე.

პოლიეთილენის ქოთნებში მოყვანილი და აფსკით იზოლირებულ გრუნტზე ჩითილები გამოირჩევა მძლავრი ზრდაგანვითარებით ჩვეულებრივი გადანერგვის გამოყენებასთან შედარებით. აფსკით იზოლირებულ გრუნტზე მოყვანილ მცენარეებს გადარგვის პერიოდში აკოკრების ფაზაში აქვთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხრილი 2

1000 ძირი ჩითილის ღირებულების დამოკიდებულება მოყვანის პირობებზე

| კულტურა | ჩითილის თვითღირებულება, მან. | | %-ით სასათბურეს მიმართ |
|---|---|---|---|
| | კვალსათბურებში | სათბურებში | |
| ადრეული კომბოსტო | 15,4 | 12,4 | 124,2 |
| პომიდორი | 14,2 | 6,05 | 238,3 |

1-2 ყვავილის მტევანი. სათბურიდან მინდორში გადასარგავად შერჩევისას ჩითილები მთლიანად ინარჩუნებენ ფესვთა სისტემას, სწრაფად ხარობენ და ადრე შედიან ყვავილობისა და ნაყოფიანობის ფაზაში. პოლიეთილენის ქოთნებში მოყვანილი პომიდორი გამოირჩევა უკეთესი განვითარებით უქოთნო ჩითილებთან შედარებით, მაგრამ მათზე უკეთესია აფსკით იზოლირებულ გრუნტში მოყვანილი ჩითილები. მოსავლის მიღება იწყება 10-15 დღით ადრე, ჩვეულებრივი წესით მოყვანილ ჩითილებთან შედარებით. უქოთნო ჩითილების საადრეო მოსავალმა შეადგინა 51,3 ც/ჰა, ქოთნებში მოყვანილმა - 72,4, აფსკით იზოლირებულ გრუნტში - 84,5 ც/ჰა. ქოთნებში მოყვანილი ჩითილებისაგან მიღებულმა მთლიანმა მოსავალმა შეადგინა 25%, იზოლირებულ გრუნტში - 39% უქოთნოდ მოყვანილ ჩითილებთან შედარებით.

ქოთნის ჩითილი იძლევა მაღალ ადრეულ და მთლიან მოსავალს. მაგრამ მისი მინდორში გადარგვა დაკავშირებულია ხელით შრომის დიდ დანახარჯებთან, ეს კი ადიდებს ცენტნერი პროდუქციის თვითღირებულებას.

იზოლირებულ გრუნტში მოყვანილი პომიდვრის ჩითილები მეურნეობას უჯდება იაფი, და გარდა ამისა, მინდორში მისი გადარგვა ხდება ჩითილების სარგავი მანქანით. იზოლირებულ გრუნტში მოყვანილი ჩითილებით მიღებული მოგება აღწევს 1000 მანეთს ჰექტარზე და 2-2-ჯერ აღემატება ქოთნის ჩითილებით მიღებულ მოგებას. (ცხრილი 1).

ამრიგად, მაიზოლირებელი აფსკის გამოყენებით მიღებული პომიდვრის ჩითილებით საბჭოთა მეურნეობაში ადრეული მოსავალი გაიზარდა 64,7%, საერთო - 39%-ით.

აფსკით გადახურულ სათბურებში ელექტროშეთბობის გამოყენებით მიღებულ ჩითილებს აქვთ უპირატესობანი კვალსათბურებში მოყვანილ ჩითილებთან შედარებით. სათბურებში მიკროკლიმატის სპეციფიკური პირო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბები – ნიადაგის სტაბილური ტემპერატურული რეჟიმი, ძლიერი განათება ხელს უწყობს უკეთესი ხარისხის ჩითილების მოყვანას, ვიდრე კვალსათბურებში, და მოყვანის ვადებს 10-15 დღით ამცირებს. მაგალითად, ადრეული კომბოსტოს ჩითილები, რომლებიც კვალსათბურებშია მოყვანილი, მინდორში გადასანერგად მზად არის 50-55 დღის შემდეგ, სათბურებში – 40-45 დღის შემდეგ. 1972 წელს კვალსათბურის ჩითილების ადრეული კომბოსტოს თავის საშუალო წონაა 0,67 კგ; სათბურისა – 0,85 კგ; მოსავალი – შესაბამისად 166,5 ც/ჰა და 228,6 ც/ჰა (10 ივნისისათვის), ე.ი. სათბურებში ჩითილების აფსკის ქვეშ მოყვანით მოსავლის მატებამ შეადგინა – 62 ც/ჰა. მატულობს სათბურებში მოყვანილი ადრეული კომბოსტოს ეკონომიური ეფექტიანობა – თითოეული დახარჯული მანეთის ანაზღაურება ცენტნერი პროდუქციის წარმოებაზე 4-ჯერ მეტია, ვიდრე კვალსათბურებში. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ჩითილის თვითღირებულებას (ცხრილი 2).

აფსკის ქვეშ ჩითილების მოყვანა ამცირებს ადრეული კომბოსტოს თვითღირებულებას 24,2%-ით, პომიდვრისას – 2,3-ჯერ. სათბურებში ჩითილების მოყვანა არ საჭიროებს ძვირადღირებულ ბიოსაწვავს, საჭირო აღარ არის მთელი რიგი მძიმე სამუშაოები, რაც კვალსათბურებისთვისაა დამახასიათებელი (ჩარჩოების აწევა ვენტილაციისათვის, ჭილობით მათი დაფარვა). გარდა ამისა, სათბურებში მუშაობა შეიძლება ყოველგვარ ამინდში. (დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართვა შეიძლება მისამართით: 350000, ქ.კრასნოდარი, п/я 93, КОКСОС ).

თარგმნილია კრასნოდარის დარგთაშორისი ტერიტორიული სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და პროპაგანდის ცენტრის მიერ 1973 წლის მაისში გამოშვებული №166-73 საინფორმაციო ფურცლიდან.

ВЫРАЩИВАНИЕ РАССАДЫ РАННИХ ОВОЩНЫХ КУЛЬТУР
В ПЛЕНОЧНЫХ ТЕПЛИЦАХ НА ЭЛЕКТРООБОГРЕВЕ

(на грузинском языке)

პასუხისმგებელი გამოშვებისათვის ა. ნიკოლაიშვილი
კორექტორი დ. სიმონიშვილი
ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/VI-73 წ. ფასი 2 კაპ.

დაბეჭდილია საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიურ გამოკვლევათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის როტაპრინტზე, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ., 35.

Издатель – Грузинский научно-исследовательский институт научно-технической информации и технико-экономических исследований, г. Тбилиси, проспект И. Чавчавадзе, 35.

თარგმანი შეკვეთა 141 0,25 პირ. ნაბ. ფურცელი ტირაჟი 1000